საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/101 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ა. გზირიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის №1/64 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 61 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 56 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 11 მოსამართლის, მათ შორის, მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის - ალექსანდრე გზირიშვილის განაცხადი. იგი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებულია 2021 წლის ივნისიდან. ა. გზირიშვილის სამოსამართლო უნარ-ჩვევებისა და მოტივაციის გათვალისწინებით, მას აქვს შესაძლებლობა მუშაობა გააგრძელოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში არსებული დატვირთვის პირობებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ალექსანდრე გზირიშვილი გათავისუფლდეს ახალგორის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე